დანართი 1
დამტკიცებულია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
2008 წლის „ “
№ ბრძანებით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბაგების სტუდქალაქის საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.1. ბაგების სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში დროებით ცხოვრების უფლება ენიჭებათ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში “უნივერსიტეტი”), სტუდენტებს და თანამშრომლებს, ასევე სხვა სასწავლებლის სტუდენტებს მიუხედავად მოქალაქეობისა (შემდგომში “მობინადრე”).

1.2. საერთო საცხოვრებელში ცხოვრების უფლება წარმოიშობა უნივერსიტეტსა და მობინადრეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ადმინისტრაციული აქტით დადგენილი ტარიფის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების დადება და სტუდქალაქის საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მოპოვება

2.1. სტუდქალაქის საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად პირი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და განცხადებას თან ურთავს შემდეგ დოკუმენტებს:
   ა) პირადობის მოწმობის ასლი, უცხოელის შემთხვევაში შესაბამისი სახელმწიფოს პასპორტის, ბინადრობის მოწმობის და ვიზის ასლები;
   ბ) ცნობა შესაბამისი ფაკულტეტიდან (სტუდენტის შემთხვევაში), ცნობა უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან (თანამშრომლის შემთხვევაში);
   გ) 2 ფოტოსურათი 3×4;
   დ) ოჯახის წევრთა პირადობის მოწმობების ასლები და ფოტოსურათები ოჯახთან ერთად საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მოპოვების შემთხვევაში.

2.2. ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მობინადრე ვალდებულია ხელშეკრულების დადებიდან 10 დღის ვადაში გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირა, რის შემდეგაც მას გადაეცემა ხელშეკრულებით განსაზღვრული საცხოვრებელი ფართი. ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში ხელშეკრულება კარგავს ძალას.

2.3. მობინადრეს საერთო საცხოვრებლის შესაბამისი ფართი და მასში არსებული ნივთები გადაეცემა მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერს ბაგების სტუდქალაქის უფლებამოსილი თანამშრომელი.

2.4. საერთო საცხოვრებლით სარგებლობის დაწყებისას მობინადრე ეცნობა წინამდებარე წესს, რომელსაც ადასტურებს ხელმოწერით.

2.5. საცხოვრებელი ფართის ერთი გასაღები მუდმივად უნდა ინახებოდეს კორპუსის ადმინისტრატორთან.

3. მობინადრის უფლება-მოვალეობები

3.1. მობინადრეს უფლება აქვს:

ა) იცხოვროს მისთვის გადაცემულ ოთახში და ისარგებლოს ყველა იმ კომუნალური პირობებით, რომელიც არსებობს მის საცხოვრებელ კორპუსში;
ბ) ისარგებლოს სასწავლო, სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ფართით, საერთო სარგებლობის ინვენტარითა და აღჭურვილობით;
გ) მესამე პირს მისცეს თავის ოთახში დარჩენის უფლება არაუმეტეს თვის განმავალობაში 3 დღისა, თუ იმავე ოთახში მცხოვრები პირი არ იქნება წინააღმდეგი.

3.2. მობინადრე ვალდებულია:

ა) გადაიხადოს ბინის ქირა დადგენილი წესით და ოდენობით;
ბ) გადაიხადოს მის მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადები;
გ) გაუფრთხილდეს მისთვის გადაცემულ უძრავ და მოძრავ ქონებას;
დ)ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან 5 დღის განმავლობაში გაათავისუფლოს საცხოვრებელი ფართი და დააბრუნოს გადაცემული ქონება პირვანდელ მდგომარეობაში ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით; წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდქალაქის ადმინისტრაციას უფლება აქვს გახსნას ოთახი და გამოიყენოს დანიშნულებისამებრ. მობინადრის ნივთებზე ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს.
ე) დაიცვას წესრიგი და არ დაარღვიოს სხვა მობინადრეთა სიმშვიდე და უსაფრთხოება;
ვ) დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური, ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები;
ზ) აცნობოს სტუდქალაქის ადმინისტრაციას საკეტის გადაკეთების შესახებ და გადასცეს გასაღების ერთი ასლი;
თ) აცნობოს სტუდქალაქის ადმინისტრაციას მესამე პირის სტუმრობის შესახებ;
ი) აუნაზღაუროს უნივერსიტეტს მის მიერ მიყენებული ზიანი;
კ) საერთო საცხოვრებლით სარგებლობის შეწყვეტის, ასევე დროებით (ერთ თვეზე მეტი ვადით) წასვლის შემთხვევაში დროულად აცნობოს სტუდქალაქის ადმინისტრაციას;
ლ) საჭიროების შემთხვევაში სტუდქალაქის ადმინისტრაციის მითითებით გადავიდეს სხვა
ოთახში ან სხვა კორპუსში
მ) დაიცვას წინამდებარე წესი და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობები

4. მობინადრის პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების მოშლა

4.1. მობინადრის მიერ წინამდებარე წესის და ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში სტუდქალაქის მმართველის მიერ მიეცემა გაფრთხილება წერილობითი ფორმით. რი გაფრთხილების შემდეგ სტუდქალაქის ადმინისტრაციის მომართვის საფუძველზე უნივერსიტეტის

ადმინისტრაცია უფლებამოსილია მოშალოს მობინადრესთან ხელშეკრულება და მოითხოვოს საცხოვრებელი ფართით სარგებლობის შეწყვეტა. მობინადრეს გადახდილი ქირა არ უბრუნდება.

4.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ხელშეკრულება მოშალოს მობინადრესთან სტუდქალაქის ადმინისტრაციის მომართვის გარეშე, თუ მისთვის ცნობილი გახდა მობინადრის მხრიდან წინამდებარე წესის ან ხელშეკრულების პირობების სისტემატური დარღვევის შესახებ.

4.3. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ქირის გადახდის შემთხვევაში ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება ერთჯერადად არაუმეტეს 1 წლისა. ხელშეკრულების ავტომატური გაგრძელება არ მოხდება, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 10 დღის ადრე უნივერსიტეტი გააფრთხილებს მობინადრეს ხელშეკრულების ვადის გასვლისთანავე დაკავებული ფართის გათავისუფლების თაობაზე.

4.4. ხელშეკრულების ავტომატურად გაგრძელების შემთხვევაში უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება, 1 თვით ადრე აცნობოს მობინადრეს აღნიშნულის შესახებ და მოსთხოვოს ფართის გათავისუფლება.

4.5. ხელშეკრულება ავტომატურად შეწყვეტილად ითვლება, თუ მობინადრე აღარ აკმაყოფილებს წინამდებარე წესის 1.1. პუნქტში მითითებულ პირობებს.

5. საერთო საცხოვრებელში შესვლის რეგულირება

სტუდქალაქის საერთო საცხოვრებელში შესვლა ხორციელდება საშვის საფუძველზე. საშვის დაშვების უფლება აქვს სტუდქალაქის უფლებამოსილ თანამშრომელს მობინადრის მიმართვის საფუძველზე.

6. გარდამავალი დებულებანი

წინამდებარე წესი ძალაშია ბრძანების ხელმოწერისთანავე.